გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

N 3139/01
30/03/2021

# საქართველო
# GEORGIA

3139-01-2-202103301224

შპს „კავკას მეტალს“

მის: ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. N14

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ განხადებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ქ. თბილისში ლითონის ცხელი მოთუთიების (დამცავი ლითონის ფენით დაფარვა) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გზშ-ის ანგარიშს, გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაცია გადაგზავნილ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, საპროექტო ტერიტორიის ზონირების გათვალისწინებით შეზღუდვებისა და აკრძალვების შესახებ ინფორმაციის მოწოდების მიზნით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 26 მარტის N16-01210853770 წერილით სამინისტროს ეცნობა პოზიცია, რომლის თანახმადაც N01.18.12.010.081 საკადასტრო ერთეულზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული ზონირებიდან გამომდინარე, ლითონის ცხელი მოთუთიების (დამცავი ლითონის ფენით დაფარვა) საწარმოს მოწყობა არ არის დასაშვები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ საპროექტო ტერიტორიის ზონირებასთან დაკავშირებით საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან შეთანხმება და შესაბამისი ინფორმაციის 1 (ერთი) თვის ვადაში სამინისტროში წარმოდგენა. აღნიშნული საკითხის დაზუსტებამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას, გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ.

თბილისში ლითონის ცხელი მოთუთიების (დამცავი ლითონის ფენით დაფარვა) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე.

იხ. დანართის ელ. ვერსია

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 84-69

„2“ ივლისი 2021 წ

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 20/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016587) და დადგენილების:

ა) პირველი მუხლის „ა" პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა (დანართი №1)" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (თან ერთვის ცვლილების საინფორმაციო მასალა);

ბ) პირველი მუხლის „ა" პუნქტის „ა.თ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა (დანართი №1.8)" ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

გ) პირველი მუხლის „ბ" პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის" (დანართი №2) 73-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

# დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი- რუკა (დანართი №1) მ.1:10,000

თბილისი
კარგად შეკავშირებული
ქალაქი



თბილისი მწვანე ქალაქი

თბილისი კომპაქტური ქალაქი

პოლიცენტრული განვითარება


1:30,000


მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო
განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში
შესატანი ცვლილებების შესახებ


მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო
განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად
გეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ
ფუნქციური ზონები
1 2 3 5 7 9 10 11 12 15 19 20 21 22 23 24 26 27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 40 41 42
1:30,000

# ფუნქციური ზონირების ცვლილების მოთხოვნა

**საკითხი 26**

ადგილმდებარეობა



დაინტერესებული პირი: მარიამ გიორგაძე

დამკვეთის ინფორმაცია: შპს "კავკას მეტალი,, შპს "მონოლითი"

მესაკუთრე: შპს "კავკას მეტალი,, სახელმწიფო, შპს "მონოლითი"

მისამართი: ქალაქი თბილისი, რუსთავის გზატკეცილი

საკადასტრო კოდი : N 01.18.12.010.081, 01.18.12.010.019, 01.18.12.010.011

მიზნობრიობა: არსებული საწარმოს განვითარება რეკონსტრუქცია

http://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=89140&lrId=10880#/C=44.9104422-41.6501207@Z=18

განცხადების ნომერი : N 0121149153-67

ფუნქციური ზონირება 2014-2018



არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: სამრეწველო ზონა-1 (ს-1)-ის ცვლილება სამრეწველო ზონა-2 (ს-2)-ით

ცვლილების საერთო ფართობი: 36520 კვ.მ.

2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა-2 (ს-2)

## ზონირების ბალანსი



| არსებული ზონირება | მოთხოვნილი ზონირება |
|---|---|
| სამრეწველო ზონა-1 (ს-1) (36520კვ.მ) | სამრეწველო ზონა-2 (ს-2) (36520კვ.მ) |

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: უარი (2021 წლის 15 ივნისის N01211661578)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია : თანხმობა